ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 50 მარტი 7, ხუთშაბათი 1891 მარტი 7, ხუთშაბათი №

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი —ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ავლაბარში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

სოლომონ ზაალის-ძე ყიფიანი თავისის ბიძაშვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთა და პატივის-მცემელთა გარდაცვალებასა ქალაქს ვლადიკავკავში ძმისა თვისისა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისას, რომლის გვამსაც მოასვენებენ დასასაფლავებლად ტფილისს, დიდუბის ეკკლესიაში. დღე დასაფლავებისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

(2—2)

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისის საურთიერთო ზღვევის საზოგადოების გამგეობა

აუწყებს წევრთ ამ საზოგადოებისას, რომ

## საზოგადო კრება

ნაცვლად 24 თებერვალს არ შემდგარის კრებისა საზოგადოების წესდების § 27 ძალით დანიშნულია 10 მარტს, კვირას, დილის ათს საათზედ, ქალაქის საბჭოს სადგურში.

(1—1)

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება, შესდგება ამ მარტის ოც-და-რვას, ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა კრების სადგურში, პუშკინის ქუჩაზედ, მკურნალ კუკუჯანოვის სახლებში.

ამაზედ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აუწყებს რწმუნებულ მისდამი მაზრის თავად-აზნაურობას და უმორჩილესად სთხოვს, რომ წინათვე წარმოადგინონ საბუთი კენჭით ამორჩევისა, დეპუტატთ კრების კანცელარიაში. ამასთანავე დასძენს, რომ ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა სია ცალკე უნდა შესდგეს რადგან ამ მაზრის თავად-აზნაურთა საკუთარი წინამძღოლი უნდა აირჩიონ.

(3—1)

ტფილისი, 6 მარტი

ჩვენის ქალაქის თვით-მართველობისათვის ორი ძალიან მოულოდნელი და ძალიან საყურადღებო ამბავი მოხდა ამ უკანასკნელს დროს. ქალაქის თავმა ბ-ნმა მატინოვმა თავი დაანება თავის თანამდებობას, თუმცა ხელახლად ამორჩეული იყო, და ბ-ნი იზმაილოვი, რომელსაც ჰსურდა ქალაქის თავობა, არ იქმნა ამორჩეული. მთელი საზოგადოება ქალაქისა და ნამეტნავად ისინი, ვისაც გული ასე თუ ისე სტკივა ქალაქის საქმეებისათვის, სცდილობენ თავი და ბოლო გაუგონ ამ ორს მართლადა მოულოდნელს ამბავსა. საი თაც-კი მიიხედავთ მარტო ეს ისმის: ან ბ-ნმა მატინოვმა რად დაანება თავი თავობას და ან ბ-ნი იზმაილოვი რად იქმნა უარ-ყოფილი. ყველას უნდა მიზეზის შეტყობა, გამორკვევა და და ამ საგანზე იმდენი აზრია, რამდენიც თითქმის მსჯელი და მოლაპარაკე.

რაკი ესეა, ჩვენ მიერ არ იქმნება მეტი, რომ ამ ორს ამბავს გულდვიძლი გავუსინჯოთ და მრავალთა შორის ჩვენი აზრიც წარმოვსთქვათ მასზედ თუ—რას უნდა მოეხდინა, ან ერთი ამბავი, ან მეორე. პირველ ყოვლისა ვიკითხოთ: რას უნდა აეძულებინა ბ-ნი მატინოვი, რომ ჯერ მოიწადინა ამორჩევა და რაკი შეისრულა წადილი, სამსახურიდამ გადასდგა? რა მოხდა იმისთანა იმ მოკლე ხანში, რომელიც არჩევანიდამ გადადგომამდე გავიდა, რომ ბ-ნმა მატინოვმა ველარ იტვირთა მის მიერვე მოწადინებული და უკვე მიღწეული თანამდებობა?

აქ ორში ერთი მიზეზია: ან ისა, რომ შინაურმა გარემოებამ ნება აღარ მისცა ქალაქის თავობა დანიშნულ ვადამდე ეკისრნა, ან გარეშე ვითარებას რასმეს გაუფრთხა და გაეცალა. პირველს მიზეზს, ჩვენის ფიქრით, აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. იმიტომ-რომ თუ შინაურმა გარემოებამ ორის თთვის წინად არ დაუშალა კენჭის ყრის სათუო განსაცდელს მისცემოდა, თუ ორის თთვის წინად კენჭისყრის ბეწვის ხიდზედ გასვლას არ შეუშინდა—და რომ საშიში იყო ეგ ყველამ იცის,—ძნელად საფიქრებელია ამ მოკლე ხანში, სულ ორის თთვის მანძილზე მის შინაურ ცხოვრებაში ისეთი ძირეული რამ ცვლილება მომხდარიყო, რომ დიდის ვაითა და ვაგლახით მოგებულს საქმეს გასცლოდა. რასაკვირველია, ყველაფერი შესაძლებელია, ხოლო ისეთი უეცარი და მოულოდნელი ცვლილება ადამიანის შინაურ ცხოვრებაში ორის თთვის განმავალობაში მეტის მეტად იშვიათია, იმოდენად იშვიათი, რომ თუ თვალით არა ჰნახავთ, დაუჯერებელია. მაინც და მაინც არავითარი ხელ-მოსაკიდებელი გამომქღავნებული საბუთი არა გვაქვს, რომ ბ-ნ მატინოვის სამსახურიდამ გადადგომა მის შინაურს გარემოებას მივაწეროთ.

მაშასადამე, მიზეზი ბ-ნ მატინოვის გადადგომისა გარეშე ვითარებაში უნდა ვეძიოთ. რა მოხდა აქ ისეთი? რაშია ეს „გარეშე ვითარება“? გარეშე ვითარება, ჩვენის ფიქრით, ამ შემთხვევაში ახლად შემდგარი საბჭოა ქალაქისა და სხვა არა რა, რა შეემჩნია ამ ახლად შემდგარს საბჭოს იმისთანა, რომ ბ-ნ მატინოვს მიზეზი მისცემოდა გაცლისა და სამსახურიდამ გადადგომისა? თუ აქამომდე ბ-ნი მატინოვი უძღებდა საბჭოს, ეხლა რა მოხდა იმისთანა ახალი, რა შეიტანა ქალაქის თვით-მართველობაში ახალმა საბჭომ იმისთანა, რომ ბ-ნმა მატინოვმა გაცლა ამჯობინა დარჩენასა?

ყოველს ამას რომ სამართლიანი პასუხი გავცეთ, საჭიროა უწინდელი და ეხლანდელი საბჭო ერთმანეთს შევადაროთ. რა იყო უწინდელი საბჭო? ყურ-მოჭრილი ყმა გამგეობისა. უწინდელი საბჭო ქვევრსა ჰგვანდა: რასაც გამგეობა ჩასძახებდა, იმას ამოიძახებდა. ყველაფერზედ „ბალი აღა“ მზად იყო, გამგეობა სჭრიდა და ჰკერავდა კიდეც და საბჭო ჭრაზედაც და კერვაზედაც ჰკოს ნიშნად თავს აკანტურებდა. ახალმა საბჭომ-კი სულ სხვა უნარი გამოიჩინა, სულ სხვა გზა-კვალი აირჩია და პირდაპირ გამოაცხადა: არც ერთს სარჩიელს გამგეობისას, თუ ცალკე ხმოსნისას, არც ერთს განაჩენს აქ ჩვენში ვერავინ გაიყვანს უიმისოდ, რომ კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ გავატაროთ, ყოველ მხრივ არ ავწონდავწონოთ და ქალაქის მკვიდრთა სარგებლობის და საჭიროების თვალით არ გავსინჯოთ და არ განვიკითხოთო. ჩვენ აქ ამისთვისა ვართ გამოგზავნილი ქალაქის მკვიდრთაგანა და არა იმისათვის, რომ თავები ვაკანტუროთ ყოველს იმაზე, რასაც თქვენ მოიწადინებთო.

ეგრედ წოდებულს ოპოზიციას ჯერ ხანად სხვა არა დაუწერია რა თავის დროშაზე და ნუ თუ ვისმე იმოდენა კადნიერება ექმნება, რომ ეს დაუწუნოს? დღევანდელ „გარეშე ვითარებაში“ სხვა ახალი არა მომხდარა რა ამის მეტი და რადგანაც ბ-ნ მატინოვის სამსახურიდამ გასვლა მარტო „გარეშე ვითარებაში“ უნდა მოიძებნოს, სჩანს, რომ იგი გაეცალა საბჭოს თვითმოქმედებას, საბჭოს კრიტიკას, საბჭოს განკითხვას, ამ ერთად-ერთს სახსარს, ერთად-ერთს გზას ყოველის საქმის კეთილად, ფრთხილად, წინდახედულად და გონიერად წარმართვისას.

ტყუილად ჰნუკეშობენ, ტყუილად ჰცდილობენ ოპოზიციის მოპირდაპირენი, რომ ოპოზიციას სახელი და აბრუ გაუტეხონ, ვითომ საბჭოში ავყიაობის მეტს არას აკეთებდეს. ჩვენის ფიქრით, ისიც დიდი სამსახური იქმნება ქალაქის წინაშე ოპოზიციის მხრით, თუ იგი, თავის სასახელოდ, საბჭოში კუთვნილს ადგილს დააჭერინებს კრიტიკასა და განკითხვას აწ და სამარადისოდ. თორემ ოპოზიციას წინ კიდევ ბევრი სხვა საქმე უდევს და, ჩვენის ფიქრით, დიდად გონივრულად იქცევა, რომ მოუწადინებია ჯერ ყოველი გარემოება და ვითარება ქალაქის თვით-მართველობისა, ყოველი საქმე ქალაქისა ზედ მიწევნით შეისწავლოს და მერე თავის მთელის და ვრცელის პროგრამმით გამოვიდეს სამოქმედოდ. იმ დრომდე-კი ერთს ბიჯსაც არავის არ გადაადგმევინებს უიმისოდ, რომ არ განიკითხოს, არ განსაჯოს, არ აიღოს და დაიღოს კრიტიკის სასწორითა. ეს ახალი ბევრს

## ინგლისის ლიტერატურის შესახები.

ამ ჩვენს საუკუნეში ინგლისის ლიტერატურამ ორჯელ დიდად იმოქმედა საზოგადო ლიტერატურაზედ. პირველად რომანტიზმის დროს ბაირონისა და ვალტერ-სკოტის ნაწერებით და მეორედ—40-იან, 50-იან და 60-იან წლებში დიკენსის ნაწერებით. ბაირონს დიდი მოქმედება ჰქონდა სლავიანების ერთა რომანტულს პოეზიაზედ, ხოლო ვალტერ-სკოტმა შემოიღო ევროპის ლიტერატურაში ისტორიული რომანი. ბოლოს დიკენსმა მისცა დასაწყისი რეალურს მოთხრობას. ყოველ ამას გარდა, შექსპირი მინამდინაც განუწყვეტლივ ჰმოქმედობდა ყველა ერთა სადრამო ლიტერატურაზედ და გერმანიის რეალისტების დასი ხომ დღესაც ამას ამბობს, რომ შექსპირი იყო ჩვენი მოძღვარიო.

## ფელეტონი

### პასუხი

— მთაო მაღალო,
ზვავთა ნალარო,
მე რა გახარო!
არ მიგდებს ყურსა
მდგარი შტერადა:
თუ მივაჩნივარ
თავის მტერადა...
— მთაო მაღალო,
ნისლით ბურვილო,
სალის ყინულით
თავ-დახურვილო,
რატომ არ მისმენ,
მე რა გახარო,
რომ შუბლი გაჰხსნა
და გაიხარო!
— ჩემს შუბლს რა გაჰხსნის,
მტერ-მკვდარო შენა:
მთლად გამიქვავდა
კანი და სმენა;
გამიბათილდა
ჯანი და ენა.
მაინც ყურს გიგდებ,
მითხარი ბარე,
იქნებ გატკბილდეს
ფიქრები მწარე.
— მაშ არ თუ იცი,
გმირო დიდ-გულო,
მწვანემ შემოსა
ქალები სულა,
ამოჩნდა ია
და ფურისულა, *)
კოდალას უპყრავ
ხელს ლეინით კულა,
გალოთებული
დაჰკივის ველსა,
ნისკარტით ჰზომავს
ფუტუროს ხესა.
დაფნის გვირგვინი
თავს ედგმის ტყესა,
მერცხალი ჰყივის,
მდინარე ხვივის;
იქვე წყანწყარა
მოდის წნარ-წყნარა.
გაცოცხლდა ბუზი,
გაცოცხლდა ჭია;
ბარად რომ ჰნახო,
ბრწყინვალე მზეა,
გამოიფხიზლე—
გაზაფხულია!
— ვაი შენს მტერსა,
რას ამბობ, რასა?
რა მზე გაათბობს
მყინვარეს მთასა?!
ჩემზედ ვინ ჰნახავს
იმ ნაზსა იას,
ასში ერთს დღესა
ვერ ენახავ მზიანს.
სულ თოვლი მაწევს,
ყინული დიდი,
მაგრამ არ ვწუხვარ,
ვარ მუდამ მშვიდი.
ბარად წვიმაა,
ჩემს თავზე თოვნა.
ღმერთს როდი ესმის
მაღლის მთის თხოვნა.
ქარი დამბერავს,
ქარი ჰგრიალებს,
ჩემი თეთრი თმა
ცაში ბრიალებს.
ნისლი გადიყრის,
მიჩნდება ბარი,
და შევტრფი შორით
იმისთვის მკვდარი.
მუდამ ჭირში ვარ,
მაგრამ არ ვკვდები,
ამაყის გულით
ცოცხალი ვრჩები!

ვაჟა-ფშაველა

ჩაგურგულა
15 თებერვალს 1891 წ.

*) მცენარეა ბალახეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხამუშება, მაგრამ დრო მოვა და გაიგებენ, რომ ხსნა სწორედ ამ გზით სვლაშია ყველგან და ნამეტნავად იმისთანა მძიმე და რთულ საზოგადო საქმეში, როგორიც ქალაქის მოვლა და პატრონობაა.

ეხლა ვიკითხოთ: რას უნდა მიეწეროს, რომ ერთად-ერთი კანდიდატი ბ-ნი იზმაილოვი არ ინდომა საბჭომ ქალაქის თავად ამოერჩია და ეს არ-ამორჩევა რას ჰნიშნავს? არამც თუ ეს არ-ამორჩევა, თვით ბ-ნ მატინოვის და ბ-ნ ხოსროევის ამორჩევაც რომ ავიღოთ, აშკარად დავინახავთ, რომ ქალაქი ყოფილის გამგეობის მომდურავია. ჩვენ ვამბობთ ქალაქი, იმიტომ-რომ დღეს ქალაქი საბჭოს პირით ჰლაპარაკობს, რადგანაც საბჭოში, ვინც არიან—ქალაქის წარმომადგენელნი არიან. სად უწინდელი არჩევანები, სად ეხლანდელი. წინანდელ არჩევანებში თეთრს კენჭებს მუჭით ჰხვეტდნენ ამორჩეულნი და შავს-კი ძლივს ჰპოულობდნენ საარჩევანო ყუთში და ეხლა-კი არც ბ-ნ მატინოვს და არც ბ-ნ ხოსროევს იმოდენა თეთრი არ მოსვლიათ, რომ იმავ მუჭით თითქმის იმოდენავე შავი კენჭი არ ეხვეტნათ. აქ ეჭვი არ არის, რომ დედა-ბუდე შავ-კენჭების ესე ძლიერ ბღარტობისა უკმაყოფილობა და სამდურავია.

არ ვიცით ეს სამდურავი და უკმაყოფილება რამდენად საბუთიანია. მინამდე თავისას არ იტყვიან ის მრავალ გვარი კომისიები, რომელიც ახალმა საბჭომ მიუსია ქალაქის ყოფილთა საქმეთა, საბუთიანობაზე ლაპარაკი ძნელია. ხოლო ეს-კი ყველასათვის აშკარაა, რომ ყოფილს გამგეობას დიდი და პატარა ემდურება და უკმაყოფილო თვალით უყურებს. ეს თითქმის საერთო სამდურავი და უკმაყოფილება ახალმა ხმოსნებმა თან შეიტანეს საბჭოში და პირველ არჩევანებში თუმცა გამარჯვებით არა, კარგა ღონივრად იჩინეს თავი, ასე-რომ საბჭო ორ—ერთი მეორეზედ ორიოდე კენჭით მეტ-ნაკლებ—ბანაკად გაჰყვეს. მას აქედ თითქმის ორი თვე გავიდა და, როგორც სჩანს, ამ ორ თვეში ამ სამდურავმა და უკმაყოფილებამ საბჭოში ფეხი გაიდგა და ხმოსანთა შორის უფრო მეტი მომხრეობა მოიპოვა. ამ მატულობამ ბ-ნ იზმაილოვის არჩევანზე იმოდენად თავი იჩინა, რომ მომდურავთა ხმოსანთა კენჭმა, თუმცა ერთით, მაგრამ მაინც გადააჭარბა სხვებსა.

ამბობენ, რომ ამ სამდურავს და უკმაყოფილებას არ უნდა აჰყოლოდნენ ხმოსნებიო, რადგანაც ჯერ გამორკვეული და გამოძიებული არ არის ამ სამდურავის და უკმაყოფილების საბუთიო და, რაკი აჰყვნენ, უსამართლოდ მოიქცნენო. ხმოსანთა გასამართლებლად ამ შემთხვევაში ჩვენ ამას ვიტყვით, რომ აქ ისე მოიქცნენ, როგორც რიგი იყო და გარემოება ითხოვდა. თითო-ოროლა ხმოსანმა აკი სარჩიელი წარმოსთქვა საბჭოში, არჩევანები ქალაქის თავისა ერთი ორის თთვით გადავდოთო. ამ ხანის განმავლობაში კომისიები თავისას იტყოდნენ გამგეობის ყოფილ საქმეთა შესახებ და ყოველს ხმოსანს ღონისძიება ექნებოდა ამ სამდურავს და უკმაყოფილებას საბუთი თუ უსაბუთობა რამ აღმოუჩინოს, და რატომ ყური არ ათხოვეს ხსენებულს სარჩიელს? ჰაიჰარად დანიშნეს ქალაქის თავის არჩევანი და კეთილ სინიდისიერი ხმოსანი ამ ჰაიჰარობაში ერის ხმას უნდა აჰყოლოდა და ყოველ მხრიდამ მღაღადებელს სამდურავს და უკმაყოფილებას ყურს ვერ მოუყრუებდა. აქ ბრალი იმისია, ვინც ამისთანა არა საჩქარო საქმეში ასჩქარდა, და არა იმისი, ვინც ერის ხმას აჰყვა და, მაშასადამე, თავის მოვალეობას არ უღალატა.

## ახალი ამბავი

⁂ კავკავიდამ დეპეშით გვაუწყებენ, რომ გარდაცვალებულის მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანის გვამს დღეს დილით გამოასვენებენ აქედგანაო.

⁂ ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას ცნობანი იმის შესახებ, თუ წარსულს 1890 წელს რა მაზანდა ჰქონდა ქალაქის ბაზრებში სხვა-და-სხვა გვარ სურსათ-სანოვაგეს, რამდენი დაუხოცნია მსხვილ და წვრილ-ფეხი საქონელი და რამდენს ვაჭარს აულია სავაჭრო დოკუმენტი.

გამგეობამ შეადგინა ყველა ამის ცნობა და აღმოჩნდა, რომ საშუალო ანგარიშით წარსულ წელს ღირებულა: ძროხის ხორცი $7^1/_2$ კაპ., ცხვრისა—$8^1/_3$ კაპ, ღორისა $8^3/_4$ კაპ., ერთი ბატი 67 კაპ., ინდაური—1 მან. 20 კაპ., ქათამი 43 კაპ., წიწილა—16 კაპ.; კვერცხი ასი 1 მან. 28 კაპ.; ერბო ძროხისა ფუთი 10 მან. 66 კაპ. და სხვ.

ქალაქში მოურეკიათ ამავე წლის განმავლობაში: მსხვილ-ფეხი საქონელი 42,661 სული დაუხოცნიათ—41,108, წვრილ-ფეხი მოურეკიათ—151.253 სული, დაუხოცნიათ—116.598; ამავე რიცხვში ნაანგარიშევია: ხბო 5.266, ღორი—13.136, ცხვარი 34.104, ბატკანი 20, გოჭი 14 და თხა 391.

გაუტანია კვიტანცია ქალაქის საგუბერნიო ხაზინიდამ მისალებად: ა) საწვრილმანო ვაჭრობის მოწმობებისა—მთელის წლისა 1518, ნახევარ წლისა—119; ბ) საწვრილმანო ვაჭრობის ბილეთებისა მთელის წლის 723, ნახევრის წლისა 93; გ) ხელით დასატარებელ ვაჭრობის ბილეთებისა—მთელის წლისა 72, ნახევრის წლისა—5.

I-ის კლასის ნოქარის მოწმობა აუღიათ: მთელის წლისა 264-ს, ნახევარ წლისა 17; მე-II კლ. მთელის წლისა 1022, ნახევარ წლისა—69. ხელობის მოწმობა გაუტანია: 1-ლის ხარისხის— მთელ. წლ. 7-ს, ნახევ. წლ. არ ყოფილა, მე-2 ხარისხისა—მთელ. წლ. 35, ნახ. წლ. 2, მე-3 ხარისხისა—მთელ. წლ. 749, ნახევ. წლის—34. მეხუთე ხარისხის ადგილებში ვაჭრობისათვის აუღიათ მთელ წლ. 265-ს, ნახ. წლ. 33.

იმავე 1890 წელს ქალაქში ირიცხებოდნენ: 1-ლის გილდიის ვაჭარნი 86, მე-2 გილდიისა—688.

⁂ ჩვენ გვქონდა მოყვანილი ცნობა ხმოსანის ბ-ნ ვასილიევისა, რომელსაც უნდა მოეხსენებინა საბჭოსათვის ქალაქის ზოგიერთ უბნებში ქუჩები რა წესით უნდა გაკეთდესო. ამ მოხსენების გამო გამგეობამ ის აზრი დაასკვნა, რომ კანონის ძალით უფლება არა გვაქვს ძალა დავატანოთ მოქალაქეებს ქუჩები გააკეთეთო. ამას გარდა ჯერ კიდევ ნამესტნიკად ყოფილის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მიერ ნაბრძანები იყო ახალის ქუჩების გაკეთება იმ წესით, რა წესითაც დღემდე სწარმოებდა ეს საქმეო, ასე რომ ძალდატანება ამ საქმეში შეუძლებელიაო.

ესეთი აზრი გამგეობისა და ვასილიევის მოხსენებაც ერთად წარედგინება ქალაქის საბჭოს.

⁂ გუშინ, ამ თთვის 6, დილით კავკავის გზით ტფილისში ჩამობრძანდა მისი უმაღლესობა ჰერცოგი ორლეანელი, რომელიც გრაფ ფილიპე დე-ნეეერის სახელით მოგზაურობს. ამბობენ, რომ ჰერცოგი ჩარიცხულ იქნება შემოდგომიდგან სევერსკის დრაგუნის პოლკში. მისი უმაღლესობა ტფილისიდგან რამდენისამე დღის შემდეგ იმიერ-კასპიის მხარეს გაემგზავრება.

⁂ როგორც შევიტყვეთ, ბ-ნი ალექსანდრე ერისთავი აპირებს, ფორკატტის თხოვნით, დიდ-მარხვაში დასწეროს კავკასიის ცხოვრებიდგან ფეერია, რომელსაც ნაალდგომევს წარმოადგენენ სათავად-აზნაურო ბანკის თეატრის სცენაზე.

⁂ ამ დღეებში წოვიანოვის სახლიდგან, რომელიც რიყის ქუჩაზე იმყოფება, დაიკარგა თერთმეტის წლის ყმაწვილი, მიხეილ ბენაშვილი, რომელსაც რამდენიმე დღეა პოლიცია დაეძებს და ვერ უპოვნია.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობას განუზრახავს თოფ-იარაღი დაურიგოს გზის დარაჯებსა და მემაშინეებს, რადგანაც ამ უკანასკნელ დღეებში ძალიან გახშირდა ავაზაკობა და ძარცვა ზოგიერთს სადგურზედ.

⁂ ს. მეჯვრისხევი: შურის ძიებამ ჩვენშიაც მოიკიდა ფეხი. 24 თებერვალს სამი ცალიერი საბძელი დასწვეს. მცხოვრებლები მეტად სწუხან: აქამდის დაწვა არავის გაეგონა და ეხლა ეგეც შემოვიდა ჩვენშიო. ნეტავი ვისთვის რა სარგებლობა მოაქვს ასეთს საქციელსაო. წვრილმანმა ქურდობამ უფრო გააჭირა საქმე.

ავადმყოფობამ ხომ სულ დაგვლუპა. ისეთი ავადმყოფობაც კია, რომლის სახელი არ ვიცით ყელმა, ყალათმამ, ხველამ და ჭვალმა მუსრი გაავლო დიდსა და პატარას. ჩვენს ბედზედ ერთი ფერშალი არ არის, რომ გავიგოთ მაინც, ავადმყოფი რითი არის ავად. თითო-ოროლა ვერსის სიშორეზედ რამდენიმე სოფელიც არტყია, ასე რომ ერთი აფთიაქისა და ფერშლის შენახვა არ გაუჭირდება, მაგრამ სად არის მოთავე, თუმცა მცხოვრებლებს სურვილიც აქვთ ფერშალი იყოლიონ და აფთიაქიც იქონიონ.

⁂ ხევი: უქირავნობით მობეზრებული ჩვენი ხევის მეურმე ხალხი ლამის შავს ქვაზე სამუშაოდ ზესტაფონს გაიკრიფოს. ამ დღეებში ბევრი მეურმე წამოვიდა სამუშაოდ ურმებითა და აქა-იქ სოფლებიდგან კიდევ ბევრნი ემზადებიან, მხოლოდ ყველიერის გათავებას ელიან და დიდ-მარხვის პირველს კვირას-კი ეს მომზადებულებიც გაემგზავრებიან.

სოფ. სნოში ადგილობრივმა მღვდელმა მ. გ. სირაძემ და დიაკვანმა ზ. რობიტაშვილმა თავიანთსავე მრევლში 25 ყმაწვილს მოუყარეს ერთად თავი და წერა-კითხვასა და გალობას ასწავლიან. თუმცა ცოტა ხანია მას აქედ, რაც ეს კეთილი საქმე დაიწყეს, მაგრამ ამისთანა მოკლე ხნის განმავლობაშივე მოწაფეთა მომეტებულს ნაწილს მშვენიერად უსწავლია კითხვა, გალობა და მოკლედ სამღვთო ისტორია.

⁂ „Гражданинъ"-ი ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტროში შეტანილია კანონ-პროექტი იმის შესახებ, თუ რა წესით მოხდეს სხვათა შვილად აყვანა და აგრეთვე კანონ-პროექტი იმისი, თუ როგორ იქმნან კანონიერ შვილებად აღიარებულნი უკანონოდ შობილნიო. ვისაც უნდა თავის უკანონოდ შობილი კანონიერ შვილად გაიხადოს, უნდა მიჰმართოს თხოვნით ადგილობრივს ოლქის სასამართლოს; თხოვნასთან ერთად უნდა წარუდგინოს მეტრიკის მოწმობა ბავშვის დაბადებისა და მონათვლის შესახებ; მოწმობაზე საჭიროა მშობელთა ხელის მოწერა, რომ უკანონოდ შობილი ნამდვილ იმათი შვილია. ეს ხელის მოწერა უნდა შეამოწმოს იმავე მღვდელმა, რომელმაც ქორწინების წესი შეასრულა და აგრეთვე მთელმა კრებულმა და მოწმეებმა. მშობელთა ასეთი ხელ-წერილი შეტანილ იქნება ქორწინების მეტრიკის წიგნში და ბავშვის მეტრიკის მოწმობასთან ერთად წარედგინება ოლქის სასამართლოს. ასეთი თხოვნა ოლქის სასამართლოს მსურველთაგან უნდა მიერთვას არა უგვიანეს ერთის წლისა, ქორწინებას შემდეგ. სასამართლოში საჭიროა, ბავშვის შთამამავლობა ყოველ ეჭვს გარეშე იქმნას დამტკიცებული და მხოლოდ შემდეგ მიეცემათ ახალი მეტრიკის მოწმობა კანონიერ მშობელთა აღნიშვნით სასულიერო მთავრობის მიერ მაშინ, როცა სასამართლოს გარდაწყვეტილების ასლს წარადგენენ. ბავშვთა კანონიერი შვილობა ჩაითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების დროიდამ-კი არა, არა-

---

რა გავლენა ჰქონდა ბაირონს ევროპაში, ეს ყველამ იცის. ყველამ იცის ისიც, რომ პუშკინი და მიცკევიჩი იმის გენიოსობით მოსილს პოეზიას ემორჩილებოდნენ. გავლენა და მნიშვნელობა ბაირონისა ბევრად შემცირდა მას შემდეგ, რაც ხალისი და ინტერესი მოაკლდა რომანტიზმსა. ის იყო, ინგლისის ლიტერატურასაც დაეკარგებოდა ძალა და მნიშვნელობა ევროპის გონებრივის ცხოვრებისათვის, რომ ამ დროს არ გამოჩენილიყო ინგლისში დიკენსი.

დიკენსი გაჩნდა სალიტერატურო ასპარეზზედ სწორედ იმ დროს, როცა საფრანგეთში ჯერ ისევ სრულად და სავსებით ბატონობდა დიუმა-მამა (Dumas père) და როცა რომანი სხვა არა იყო-რა იმის მეტი, რომ რომანის კითხვით მკითხველს არ მოსწყენოდა და გასართობი საკითხავი ჰქონოდა. გერმანიაშიაც მაშინ რომანტიზმის უკანასკნელი ნაწერები ართობდა მკითხველს საზოგადოებას, ჰეგელი კიდევ უქადაგებდა ბერლინში ახალგაზდობას, რომ, რაც არსებობს, გონიერებაზეა დამყარებულიო, ხოლო შოპენჰაუერი ცდილობდა სრულიად წინააღმდეგი აზრი დაემტკიცებინა; ერთის სიტყვით, გერმანელების ჭკუა-გონება მაშინ განყენებულს საგნებს უფრო მისდევდა, ვიდრე ნამდვილის ცხოვრების გამოკვლევასა და, შეიძლება ვსთქვათ, რომ მაშინ გერმანელები ნამდვილ იდეალისტებისა და პოეტების ერი იყო.

აი ამ დროს გაჩნდა ინგლისში დიკენსი, რომელმაც, იმის მაგიერ, რომ გაერთო მკითხველები მოგონილის ცხოვრების სასიამოვნო სურათებით, აჩვენა და თვალ-წინ დაუყენა საზოგადოებას ნამდვილი კაცი, ადამიანი ყველა იმის უხამსისა და ბიწიერის თვისებითურთ. მეტადრე სასტიკად გაჰკიცხა მან თავის ნაწერებით თავ-მოყვარება კაცისა, ის თავ-მოყვარება, რომელსაც კერძო ინტერესების მეტი სხვა არა ახსოვს-რა. დიკენსი პირველი მკურნალი იყო ყველა სხვა რომანისტ შორის. იმან პირველმა აუხილა თვალი საზოგადოებას და უთხრა კაცობრიობას, რომ ავადმყოფი ხარო. მართალია, პირველში ეს ამბავი ბევრს არ მოეწონა, მაგრამ ჩქარა გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ამისივე თქმა დაიწყეს. ამ სახით, მოთხრობა და რომანი ნელ-ნელა დაუახლოვდა ნამდვილს ცხოვრებას. მწერლებმა უფრო მეტად დაუწყეს დაკვირვება ადამიანს და სცნეს, რომ ფანტაზია-კი არა, საქმე თვით ეს ადამიანია, საქმე მისი გულია საბელეტრისტო მწერლობაში.

დიკენსის მოთხრობებმა დიდი სახელი გაითქვა არა მარტო ინგლისში, არამედ მთელს ევროპაშიაც. მის მოთხრობებს დაუწყეს თარგმნა ყველა კულტურულს ენაზედ და ბევრგან გამოუჩნდნენ მიმბაძველნიც.

თითქმის ამავე დროს გაჩნდა დარვინიც, რომელმაც საბუნების მეტყველო მეცნიერებას ახალი გზა მისცა. მისგან დამოკიდებული ფილოსოფია და ბოლოს ლიტერატურაც ახალს გზას დაადგა. მაგრამ თვით ინგლისში დარვინის გავლენა ლიტერატურაზე მცირე იყო. ინგლისი ძველის მიმდევარი, კონსერვატორი ქვეყანაა; ინგლისელებს მტკიცედ სწამთ თავიანთი იდეალები და ადვილად არ გამოიცვლიან ხოლმე თავიანთ აზრს ქვეყნისა და მის მკვიდრთა შესახებ. ინგლისელების აზროვნობა თითქო ორ-მოგვე, ორ-კერძოვანი: მეცნიერებაში მზად არიან შეიწყნარონ ყოველივე ახალი ცვლილება და თეორია, ხოლო ლიტერატურაში თითქმის რელიგიურის პატივისცემით იფარვენ და ებღაუჭებიან ძველებურს აზრებს. ინგლისელებიც რომ ისეთის ხალისით ეტანებოდნენ ახალ-ახალს ლიტერატურაში, როგორც ფრანგები, დარვინ შემდეგ მათი ლიტერატურაც იმ გზას დაადგებოდა, როგორსაც დაადგა ფრანგებისა ზოლას წყალობით. მაგრამ ასე არ მოხდა. ზოლასა, ძმათა გონკურთა და სხვათა მსგავს ნატურალისტების მაგიერ, ინგლისში გაჩნდა ორი მწერალი ქალი, რომელთაც ლიტერატურას და შემოქმედობას მისცეს ახალი სახალისო თვისება, მაგრამ ძველი იდეალები-კი მაინც ხელ-უხლებელი დასტოვეს. ეს ორი მწერალი ქალი იყვნენ: ჟორჟ ელიოტი და უიდა. პირველმა გაიკვალა წინ გზა ზომიერის რეალისტობით და დიკენსის ანდერძებს არა ჰღალატობდა. ხოლო მეორე, თუმცა ასეთსავე გზას ადგია, მაგრამ ფანტაზიასაც ძლიერ მისდევს. ჟორჟ ელი-

მედ მშობელთა დაქორწინების დღიდგან. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ საქმის შესახებ, ის მაშინ იქნება კანონიერად ცნობილი, თუ 1) საქმე ოლქის სასამართლოში სწარმოებდა და კერძო საჩივარი ამის გამო დაწესებულს ვადაზე არავის შეუტანია, და 2) როცა გადაწყვეტილება სასამართლო პალატის მიერ დამტკიცებულია.

⁂ მარტის 3 პოლიციის მეექვსე ნაწილში შეიპყრეს ნახიჩევნის მცხოვრებელი გართან ტერ-ასტვაწატურიანი, რომელსაც არუთინ ნიკოლოსოვისაგან სამი შალვარი და სამი ჟილეტი მოეპარა და მიჰქონდა.

⁂ 5 ამ თთვისას არსენალის მახლობლად, რკინის გზის ლიანდაგს იქით, ერთს ალაგას დაყრილი მიწა მოირღვა და ქვეშ მოიყოლია ტფილისის მცხოვრებელის გ. აშაბეგოვის $4\frac{1}{2}$ წლის შვილი.

⁂ ამავე დღეს, ღამით, ფეთხაინის ეკკლესიის მახლობლად ივან ამიროვს შერჩეულის გასაღებით სადგური გაუტეხეს და 50 მანეთის ნივთეული გაიტანეს. ეჭვი პატრონმა ლილოს მცხოვრებელ ალექსი მალალოვზე გამოაცხადა, რომელიც დაიმალა და ეხლა დაეძებენ.

⁂ 4 მარტს ალექსი ჩითახოვმა გამოაცხადა პოლიციაში, რომ ელისაბედის ქუჩაზე ჩემის სადგურიდგან 40 მანეთად ღირებული ოქროს საათი მომპარესო. ეჭვი თავის მზარეულს გასპარ მინასიანცზე მიიტანა. ბრალდებული შეიპყრეს და სასამართლოს გადასცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ხაშმი, 17 თებერვალი. გომბორის მთის დასავლეთ მხარეს, ყორა მთის ძირში სძევს პატარა ვაკე მინდორი, ტყიან-მთებით გარშემორტყმული. ამ მინდორზედ ჩვენ წინაპართ აუშენებიათ (რომელს წელს, არ ვიცით) მშვენიერი დიდი ეკკლესია, ქვითკირის გალავან შემოვლებული. როგორც ეტყობა, გალავნის აღმოსავლეთის მხარეს ნახევრად დაქცეულს შენობასა და თვითონ ეკკლესიის გვემასაც, საეპისკოპოსო ყოფილა.

ეკკლესიას შუაზედ აქვს რვა სვეტი, წინა სვეტშია სადგომი ეპისკოპოსისა. თალსა და სვეტებზედ ჯერ კიდევ ნათლად ეტყობა მხატვრობა ქართულის წარწერით. ეკკლესია შიგნიდგან გალესილია აყალო მიწით, ბზით არეულით, და ნალესი ისევ მთელია; უბრალო ქვით არის ნაშენი, მხოლოდ გარედგანა აქვს აყოლილი თლილი ქვა. როგორც ეტყობა, ბევრჯელ ყოფილა შეკეთებული. შენობა იმდენად ძველია, რომ აღარ ეტყობა, ზემოდგან რა ჰხურებია. ზედ თალზედ გაზრდილა დიდრონი ხეები და ბუჩქები. თალი იმდენად სქელია და მაგარი, რომ წვიმა არ ჩადის ეკკლესიაში.

სიონის ტაძართან დაარსებულის მუზეუმისათვის განსვენებული დ. ბაქრაძე და დეკანოზი კალისტრატე აგროვებდნენ საარხეოლოგიო ნივთებს. ამ აზრით ისინი და არხიმანდრიტი მაკარი 1889 წ. 23 მარტს გამოემგზავრნენ ნათლის-მცემლისა და დავით გარესჯის მონასტრებში. პირველად მოვიდნენ ს. ხაშმს და აქედგან 24 მარტს წავიდნენ სამების ეკკლესიის სანახავად (ხაშმიდამ შვიდის ვერსის მანძილზედ მდებარეობს). სამწუხარო სანახავი იყო ეს დიდებული ნაშთი ჩვენის ისტორიისა. გალავანი სავსე იყო საქონლის ფეინით და ეკკლესია უკარებო ღამურეებსა და ფრინველებს სულ ერთიანად გაუსუფთავებიათ. მოხუცებულები ამბობენ, რომ კარებისა და ფანჯრების თლები ჯარებმა დააქციეს და აგური „ფეჩების“ აშენებას მოახმარესო. ამ არა საქებარმა მუშაობამ ერთი ჯარის კაციც იმსხვერპლაო. თლების დაქცევის დროს ერთი აგური დაეცა ჯარის-კაცს თავში და მოკლაო. ზემოხსენებულ პატივცემულ კაცთ მიაქციეს საქართველოს ეგზარხოსის პალადის ყურადღება ამ ეკკლესიაზედ. ეგზარხოსმა ამის განახლების საქმე მიანდო არხიმანდრიტს მაკარის და აგერ ორი წელიწადია, შეუდგნენ კიდეც საქმეს. გადასჭრეს ეკკლესიაზედ ამოსული ხეები, გადაწმინდეს თალი, დააგეს ეკკლესიაში თლილი ქვა, გააკეთეს ამბიონი, დადგეს კანკელი, ალაგ-ალაგ ჩამოქცეული ნალესი ახლად შელესეს, კარები და ფანჯრები გაუკეთეს, გარედგან ჩამოქცეული კარნიზი შეაკეთეს აგურით. ამ შეკეთებისათვის დახარჯული იქმნება ას თუმანზედ მეტი. დღეს საქართველოს ეგზარხოსის ბრძანებით არხიმანდრიტმა მაკარიმ და ოთხმა მღვდელმა შეასრულეს მცირედი კურთხევა და დღეიდგან დაიწყება წირვა-ლოცვა. კურთხევაზედ დაესწარით ხაშმელები ოთხმოციოდე კაცი. ცივი და თოვლიანი დღე რომ არა ყოფილიყო, უფრო ბევრი ხალხი დაესწრებოდა.

ლაფიანხეველი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

შენიშნულია, რომ ქალი ყოველთვის შურიანის თვალით უცქერის მეორე ქალის წარმატებას რომელსამე საქმეში. ასეთი შურიანობა განსაკუთრებით არტისტ-ქალებს უფრო მეტი სჭირს და არას გზით არ შეუძლიან ერთმანეთში მორიგება და მოთავსება. ამის მაგალითს ცხადად წარმოადგენს „Волжскій Вѣстникъ“-ში დაბეჭდილი ამბავი ყაზანის თეატრის ცხოვრებიდგან.

ამას წინად აქაური თეატრის დირექტორი ემასლაათებოდა არტისტ-ქალს და, სხვათა შორის, უთხრა, რომ შენის წყალობით თეატრს შემოსავალი მიემატა და არ ვიცი, რით გადაგიხადოთ მადლობაო. საუბედუროდ, იქვე მეორე არტისტი ქალი დაესწრო, რომლის შურიანმა გულმა ასეთი თავის ამხანაგისა ქება ვერ აიტანა. გული წაუვიდა და იატაკზე გაიშხლართა... როცა მოასულიერეს და გონებაზედ მოიყვანეს, გამოაცხადა, რომ ამას შემდეგ მე სცენაზე აღარ გამოვალ, აღარ ვითამაშებო. დიდი შეურაცხება მომაყენა თეატრის დირექტორმა და იძულებული ვარ ყაზანი მივატოვოო. როგორ შეიძლება ასეთი უმართებულება, ასეთი უზრდელობა, რომ დირექტორმა ჩემთან სხვა არტისტი-ქალი აქოო. დირექტორმა თუმცა ვერ გაიგო სიდიდე და სიმძიმე თავის დანაშაულობისა, მაგრამ მაინც ბოდიში მოსთხოვა შეურაცხყოფილს არტისტ-ქალს და სთხოვა, ნუ მიატოვებ სცენასაო. ხოლო ქალმა თავისი ნათქვამი არას გზით არ გადათქვა და იმავე დღეს გავიდა თეატრიდამ... მეორე ამისვე მსგავსი ამბავი ერთმა ნიჭიერმა და საზოგადოების მიერ პატივცემულმა არტისტმა ქალმა, რომელიც ყოველთვის იმას გაიძახოდა, რომ არაფერში და არაოდეს ჟინიანობა არ გამომიჩენია და მით საზოგადო საქმისათვის ხელი არ შემიშლიაო, აი რა სამარცხვინო საქმე ჩაიდინა: გაურიგდა თეატრის დირექტორს, რომ თითო წარმოდგენაში მხოლოდ 50 მანეთს ავიღებო და ამის გამო ხელშეკრულობაზედაც მოაწერა ხელი. მაგრამ, როცა გაიგო, რომ მეორე არტისტ-ქალს თეატრი 40 მ. აძლევს, გაჯავრდა, გაბრისხდა და დირექტორს განუცხადა, აღარ შემიძლია ჩემი სიტყვა ავასრულო, რადგანაც ამ ქალისათვის 40 მანეთი დაგინიშნავთ ჯამაგირად და მე ამ ამბით შეურაცხყოფილი ვარ. თუ ის 40 მანეთს აიღებს მე 70 მანეთი უნდა მომცესო. ბევრი ემუდარა, ბევრი ეხვეწა დირექტორი ამ ჟინიანს ქალს, ნუ მიატოვებ თეატრსო, მაგრამ ყოველივე ამაო დარჩა.

## უცხოეთი

გერმანია. ამბობენ, რომ ბისმარკი გამოდის რეიხსტაგის დეპუტატობის კანდიდატად ჰანნოვერის მე-19 საარჩევნო მაზრაშიო. ბისმარკთან ამ საგნის გამო მოლაპარაკება ჰქონია ვიღაც შოფს, აგრარიის და კანცლერად ნამყოფის პოლიტიკის დიდს მომხრეს. ჯერ გადაწყვეტით არ იციან, რამდენად მოსალოდნელია, რომ აირჩიონ თავადი ბისმარკი ამ მაზრაში. „National Zeitung“-ი ამბობს, რომ ბისმარკის კანდიდატობას პარლამენტის დეპუტატად ისე არ უნდა ვუცქიროთ, როგორც რომელისამე დასის მიერ წამოყენებულს კანდიდატობასაო. ბისმარკი ბევრს საარჩევნო მაზრაში იქმნება ამორჩეული, თუ რომელისამე დასის კაცად-კი არ გამოვა, ან რომლისამე აზრების წარმომადგენლად, არამედ გამოვა ისე, როგორც დამაარსებელი გერმანიის ერთობისა და იმპერიისაო. აი ჩვენი დასიც, დასი ნაციონალ-ლიბერალებისაო, — განაგრძობს გაზეთი, —მზადაა ერთ შეეწყნაროთ მისი კანდიდატობა ამ მხრით, თუმცა ყველა საგნების შესახებ, რომელიც ეხლა მორიგ საქმეებად ითვლება, ჩვენი შეხედულება სულ სხვაა და თავადის ბისმარკისა კიდევ სულ სხვაო.

ავსტრი-ვენგრია. დამარცხებულმა სტარო-ჩეხებმა გამოაცხადეს შემდეგი: არჩევანებმა ცხადად დაამტკიცა, რომ ჩეხიის ერის უმრავლესობას გული უფრო სხვა მიმართულებისაკენა აქვს, ვიდრე იმ მიმართულებისაკენ, რომელსაც ამდენის ხნის განმავლობაში ემსახურებოდნენ თავ-განწირულებით და უანგროდ ერის სამსახურში დაჭაღარავებულნი და დაბერებულნი. დღეიდამ ჩვენმა ერმა თავის ბედი მიანდო ახალ კაცებს და ისეთს დასს, რომელსაც ჯერ ერისათვის საიმისო სასარგებლო არა გაუკეთებია-რა და არა მოუხვეჭნია-რა, თუმცა ეს გარემოება არ უშლიდა-კი, რომ მით მეტის კრიტიკით მოჰქცეოდა ჩვენის საეროვნო დასის მოღვაწეობას. ახლა, ვანებებთ-რა თავს, ღვთით იმედია, არა დიდის ხნით, რეიხსრატის საპარლამენტო ასპარეზზე მოღვაწეობას, იმ დრომდე, ვიდრე ერი კვლავ მოინდომებს ჩვენს სამსახურს, ყოველ შემთხვევისათვის ვიტოვებთ უფლებას თავისუფლად და მიუკერძოებლობით ვსინჯოთ და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გავატაროთ ხოლმე ყველა საქმე, რომლის შესრულებასაც მოინდომებს ახალი პროგრესიული დასი ერის საკეთილდღეოდ, თავის დაპირებისამებრ. ჩვენს დასს წევრნი დღესაც ბევრი ჰყავს ყველგან, წევრნი, ძლიერნი და გავლენიანნი. ამიტომ კვლავ განვაგრძობთ ჩვენის დასის უმეტესად გაძლიერებას უკეთესად მოწყობას და თან დაუღალავად ვიმხნევებთ საზოგადო ცხოვრების ყველა კერძოობაში. ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ-კი არ გავნადგურებულვართ. ჩვენ მაინც ჩვენს ძველს დროშას და ანდერძებს არ ვუღალატებთ დღევანდელს გაჭირებაში და შემდეგაც, მოვა დრო და ქვეყნის ცნობიერება კვლავ დააბრუნებს ჩვენს ძვირფასს ერს იმ წარსულის მიმართ, როცა მისი უძვირფასესი განძი მინდობილი ჰქონდა იმ კაცებს, რომელთა გულიც სცემდა მხოლოდ ერისათვის და რომელთა ხელიც მუშაობდა მხოლოდ მისთვისვე.

გაზ. „Politik“-ი ამბობს, რომ მლადო-ჩეხები ამბობდნენ არჩევნების დროს, თუ უნდა ერს დაამტკიცოს უკმაყოფილება თვისი დღევანდელის ყოფა-ცხოვრების გამო, არჩევანებზე წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს იმათ, ვინც დღეს განაგებს იმის ბედს რეიხსრატშიო. ეს სურვილი კარგად შეისრულეს მლადო-ჩეხებმა. ახლა საქმე ის არის, როგორ შეისრულებენ მეორე სურვილს, იმ სურვილს, რომ ერი უკმაყოფილო აღარ იყოს შემდეგში თავის ბედისაო.

მლადო-ჩეხების გაზეთი „Narodni Listy“ ამბობს, რომ სტარო ჩეხების დასმა ქმნა მხოლოდ ის, რაც უნდა ძალა-უნებურად ექნა, რადგან ჩეხიის ერმა ცხადად გაჰკიცხა მისი პოლიტიკა, ისე ცხადად, როგორც არც ერთხელ არ მომხდარა საპოლიტიკო ისტორიაშიო. თუ სტარო-ჩეხები ამბობენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ მოვიცადოთო, ეს მხოლოდ სასაცილოა და სხვა არა-რა: ის დასი, რომელსაც 30 წელიწადს ეჭირა ხელში ბედი ერისა

---

ოტი მოგვითხრობს მხოლოდ იმას, რაც თავის თვალით უნახავს, და ისე მოგვითხრობს, როგორც უნახავს. აი ამაშია მისი ძალა და დიდი მნიშვნელობა. ჟორჟ ელიოტმა დიდი ხანი მოანდომა კაცთა და ადამიანთა შესწავლას, გათვალისწინებას, დიდი ხანი გაატარა სწავლაში, იკითხა თხზულებანი ინგლისელ და გერმანელ მეცნიერთა და სიბრძნის მოყვარეთა და მხოლოდ მერე დაიწყო წერა რომანებისა. დიდის ცოდნის გამო და იმის წყალობით, რომ ჟორჟ ელიოტმა კარგად იცის ბუნება ადამიანისა და ცხოვრება ხალხისა, მისი თხზულებანი ნაყოფია დაბრძენებულის ჭკუისა და დიდის გამოცდილებისა აიღეთ მაგალითად მისი მოთხრობა „სილას მორნერი“ (Silas Morner). ყოველივე ამ თხზულებაში სადად, მარტივად არის მოთხრობილი, დიდის გულწრფელობით ნაამბობი და არავითარი ლონე არ არის ნახმარი ნაამბობის გასალამაზებლადა და გასამშვენიერებლად, მაგრამ, აბა ჰნახეთ, რამოდენი ღრმა აზრებია შიგ, რა უნარი დაკვირვებისა და შნოება სალის გრძნობისა!

უიდა უფრო ფანტაზიას მისდევს და, თუმცა მის ნაწერებს ძალიან კითხულობენ, მაინც მის მოღვაწეობას არავითარი გავლენა არა აქვს ლიტერატურაზედ. არა აქვს გავლენა იმიტომ, რომ ამ მწერალს აკლია თავისებურობა, ორიგინალობა, და არც ის გამოცდილება და უნარი აქვს დაკვირვებისა, რომელიც დიდი ძალაა მწერლისათვის და რომელიც ხვედრია მხოლოდ დიდ-ბუნებოვანის მწერლებისა.

აი ეს ორი მწერალი ქალი სდგას ინგლისის მწერლობის შუა-გულ და მათ გარშემო ახვევია მრავალი სხვა მწერალი რომან-მოთხრობებისა, მაგრამ ყველა ამათ ერთის ნაბიჯითაც არ წაუწევიათ წინ ინგლისის ლიტერატურა, რომელიც ისევ ძველებურს, საკონსერვატორო ნიადაგზეა მიმაგრებული. ყველა ის ახალ-ახალი სიო და მიმართულება, რომელიც ჩვენ შევნიშნეთ სკანდინავიისა, საფრანგეთისა და გერმანიის ლიტერატურაში, ინგლისში თანამგრძნობელსა და მოყვარულს ვერა პოულობს. ინგლისელებს დღემდე სწამთ ესრედ-წოდებული „ხელოვნება ხელოვნებისათვისაო“ და აინუნში არ მიაჩნდით ის ახალი ლიტერატურა, რომელსაც ევროპაში უწოდეს სახელი „კულტურულის პოეზიისა“ და რომელიც მართლა იმის მეტი არა არის-რა, რომ სალიტერატურო ნაწერებში უხალისოდ და უინტერესოდ გადაკეთებულია მსჯელობა სხვა-და-სხვა საჭირ-ბოროტო საზოგადო საგნის შესახებ. ამისთანა მიმართულება ლიტერატურისა საშიშია და უქადის სრულს დაღუპვასა და გაბათილებას ხელოვნებასა და სიტყვა-კაზმულს მწერლობასა. იმედი მხოლოდ იმაშია ამ ჟამად, რომ ახალგაზდა მწერალნი და პოეტები წინააღმდეგნი არიან ლიტერატურის ასეთის მიმართულებისა და სცდილობენ კვლავ შეასხან ფრთა ახალს იდეალიზმს, რაიცა უკვე შეინიშნება გერმანიასა, საფრანგეთსა და სკანდინავიაშიაც-კი. დღევანდელს სალიტერატურო ბრძოლაში, რომლის გამოც დიდს მოუსვენრობაში არიან ზემოხსენებული ქვეყნები, ინგლისი არავითარს მონაწილეობას არ იღებს, და, შესაძლოა, მხოლოდ მაშინ მოჰკიდოს ხელი საქმეს, როცა ახალი იდეალიზმი გაიკვლევს გზას და უკვე შემუშავდება გერმანელების მიერ. გონებრივის წარმატების ისტორიაში ხშირად ვხედავთ ასეთს გარემოებას, სახელდობრ, იმ გარემოებას, რომ ერთი ერი მოსვენებაშია მაშინ, როცა მეორე ციებ-ცხელებაშია და გამწარებული ეძებს რაღაც ახალსა. და აი, როცა ბოლოს მიაგნებს ამ ახალს სასურველოს, სხვა ერნი დიდის სიამოვნებით ეტანებიან ამ ახალს და თავისებურად იყენებენ და ისაკუთრებენ. ინგლისს, რომელმაც შეჰქმნა იმდენი დიდებული სალიტერატურო თხზულება, გულ-დამშვიდებით შეუძლიან, რასაკვირველია, პატარა ხანს შეისვენოს და მხოლოდ ხელოვნების ნაწერებით ერთობოდეს.

ა. ლ.

და რომელმაც ამ ხანში ვერა გაარიგა-რა, ველარ დაიბრუნებს ბატონობასა და ველარ ჩაიგდებს ხელში ერის გამგეობის საქმესაო.

## წვრილი ამბები

**ახირებული სიყვარული.** ამ ხანად სავოის (საფრანგეთში) სასამართლომ ერთი სადრამო მასალად გამოსადეგი საქმე გაარჩია. გმირი ამ დრამისა კლოტერ რთლი ხანში შესული კაცია, ლამაზისა და მოხდენილის სახისაა, გაშლილი შუბლი აქვს და პატარა შავი თვალები. ნიადაგ იღიმება და ამ ღიმილში რაღაც გაქნილობა და გაიძვერაობა გამოიხატება. კლოტერმა სენფორიან რუშურანტი შეიყვარა. ეს უკანასკნელი ახალგაზდა ქალია, სიცოცხლით სავსე, მარილიანი და სანდომიანი სახის გამომეტყველება აქვს და საზოგადოებაშიაც კარგ ყოფაქცევის ადამიანად არის ცნობილი. კლოტერი დიდხანს ეკურკურა ამ ქალს და ბოლოს კიდეც გამოუცხადა, რომ ვიწვი და ვიდაგვი შენის სიყვარულით და გადავსწყვიტე, თუ შენი სურვილიც იქნება, შეგირთო და ან საყვარლად აგიყვანოო. მაგრამ სენფორიანმა ერთხელაც და მეორეხელაც უარი განაცხადა. ამას შემდეგ რამდენიმე თთვე გაიარა და კლოტერიც ისე იქცეოდა, თითქოს სიყვარულის ცეცხლი გაუქრა და დამშვიდდაო. გამოდგა, რომ კლოტერი სრულიადაც დამშვიდებული არ იყო და ცეცხლი სიყვარულისა თან-და-თან უფრო ეგზნებოდა. წარსული წლის 31 აგვისტოს, როცა იმისი მიჯნური ეკკლესიიდამ გამოდიოდა, კლოტერი მივიდა და შეეკითხა: „დაგავიწყდა, რომ მე შენის სიყვარულითა ვკვდები? ნუ თუ იმდენად გულ-ქვა და შეუბრალებელი ხარ, რომ ამ წმინდა გრძნობას უარს ჰყოფ“? სენფორიანმა უპასუხა: „ყოველივე ეს მახსოვს, მაგრამ მეორედ გაგონება იმისი აღარ მინდაო“. კლოტერმა ეს სიტყვები გულის კანკალით მოისმინა და უთხრა: „იცოდეო, რომ, რა დღესაც თქვენ სხვას მისთხოვდებით, იმავე დღეს თავს მოვიკლავო“ და ამასთანავე სთხოვა, შემოიარე ჩემთან, ერთი ძალიან საყურადღებო წერილი უნდა წაგაკითხოო. ქალი დათანხმდა.. კლოტერი მოუთმენლად ელოდდა იმის მოსვლას და, როცა მოვიდა, თავ-განწირვით შესძახა: „ნუ თუ შენ არ გიყვარვარ? დამიჯერე, წავიდეთ აქედამ, მერწმუნე, რომ ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით, ნეტარებაში დავლევთ ჩვენს სიცოცხლეს“. როცა ქალმა კლოტერს აშფოთება შეატყო, წასვლა მოინდომა, მაგრამ კლოტერმა შეაყენა, ბარემ მომისმინე ბოლომდის, რაც გითხრაო. ქალი თავისას არ იშლიდა, წასვლას აპირებდა. ამ დროს კლოტერი მაგიდასთან მიიჭრა და უჯრიდამ დამბაჩა ამოიღო. დამბაჩის დანახვაზე ქალი შიშმა და ცახცახმა აიტანა... გაექანა კარებისაკენ, დააპირა გაქცევა, მაგრამ კლოტერმა გზა გადაუღობა და შეჰყვირა: „შენი აქედამ გასვლა შეუძლებელია“! კლოტერის წინ უბედური მსხვერპლი იდგა და შეშინებული თვალები კლოტერისათვის მიეჩერებინა. ამ დროს გავარდა დამბაჩა, მოხვდა საბრალო ქალს... ქალი არ წაიქცა: შეიკრიბა უკანასკნელი ძალა და ღონე და შეებრძოლა კლოტერს, რომელსაც ბრაზი თანდათან უძლიერდებოდა და თანდათან საშიშარი ხდებოდა. დასასრულ წაიქცია ქალი და ცემა დაუწყო. სცემა იმ დრომდე, სანამ უბედური ქალი სისხლით მოისვრებოდა. ბოლოს ცემულმა და გვემულმა, არაქათ გაწყვეტილმა ქალმა წამოილუღლუღა: „ოღონდ ცოცხალი გადამარჩინე და მე შენს მეტი ქმარი აღარ მინდაო“. ამ სიტყვებს შემდეგ კლოტერმა თავი დაანება საბრალო მსხვერპლს.

სასამართლოში ყველა მოწამემ აჩვენა, რომ კლოტერი პატიოსანი და რიგიანი კაციაო. სენფორიანმა, რომელსაც ისე ეკითხა, როგორც მოწამეს, სთხოვა სასამართლოს, რომ ბრალდებულისათვის ეპატიებინათ დანაშაული. სასამართლომაც ეს თხოვნა შეიწყნარა და ეს ახირებული მიჯნური გაამართლა.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

თ. ალ. ორბელიანს თავის ისტორიული დრამა „დავით აღმაშენებელი“ ორი ხელთნაწერი დარჩენია: ერთი იმისის საკუთარის ხელთნაწერია და მეორე პეტრე უმიკაშვილის გადაწერილი. ეს ხელთნაწერი ავტორს შეუსწორებია და დასაბეჭდად მოუმზადებია. პეტრე უმიკაშვილის ხელთნაწერი ამ რამდენისამე წლის წინად გამომცემელს ქართულის დრამატიული დასისთვის გარდაუცია და დღეს ამის კვალი აღარსადა სჩანს. ეხლა როცა ეს დრამა იბეჭდება, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო საჭიროა რომ ეს ხელთნაწერიც ხელში ჰქონდეს გამომცემელს, მაგრამ პოვნით აღარ აღმოჩენილა, ამიტომ ვსთხოვთ ქართველ არტისტებს, რომ თუ ეს ხელთნაწერი მოეპოვებათ სადმე, დროებით გვათხოვონ.

ზ. ჭიჭინაძე

### II

პატივი მაქვს მცირე რამ მიზეზისათვის შეგაწუხოთ. მე განვიზრახე პირველ იანვრიდგან ამ 1891 წ. მივაწოდო ჩემი წვლილი თითოეულს შემდეგს ჩვენს დაწესებულებას ყოველ თთვიურად. ხუთ-ხუთი შაური: ა) წინამძღვრიანთ-კარის სასწავლებელს, ბ) მომავალ დედათა სასწავლებლის საზოგადოებას, გ) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და დ) ბაქრაძის ფონდს. ამ დროებით გიგზავნით ორ მანეთს ორის თთვისას. გიგზავნით ერთს მანეთსაც გადასაცემად ახალ, ჯერ უჩინარ ხელ-მოკლე და ღარიბ სტუდენტთ დამხმარებელ საზოგადოებისათვის, სადაც მსურს სექტემბრამდის ფონდის ფული ოც-და-ხუთი მანეთი შევავსო.

ხორშელი ს.

## დეპეშა

5 მარტი

**ასხაბადი.** აქაური ანტრეპრენერი ვასილიევ-ვიატსკი შეუდგა აშენებას ხამუდამო თეატრისას საქალაქო ბაღში.

**პეტერბურგის ბირჟა, 5 მარტი.**

| | მყიდველნი იყვნენ. მან. კ. | გამყიდველნი იყვნენ. მან. კ. | გარიგდნენ. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 79 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 135½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | 1 07 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 239¼ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 223½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | — „ | — „ | 216½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე გაგასიიხა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასიია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

# განცხადებანი

## სასოფლო ადგილი

ისყიდება ბაქოს გუბერნიაში, დაბა სალიანში. პირობის შეტყობა შეიძლება ბათუმში მეაფთიაქე რელიგიონთან. (3—3)

---

## მიბაძვა ქრისტესი,

თომა კემფელისა

თარგმნილი ლათინურიდგან

პ. ა. მღებრიშვილის მიერ.

წიგნი I, II, III და IV ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

თბილისში: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, სამღრთო წიგნთ-საკითხავში და ქართველთა წიგნის გამომცემ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

გორში: არ. კალანდაძის სტამბასა და ზ. დონდაროვის მაღაზიაში.

ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ხონში: ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში: გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალციხეში: ძველს ქალაქში სომეხთა-კათოლიკე მღვდელ გვარამაძესთან.

მოზდოკში: კათოლიკეთა მღვდელ-პატრ კ. მუთაფოვთან.

ცხინვალში: დურმიშხან ყურულთან.

ფასი მთელის წიგნისა ყდითა და ოთხის სურათით 1 მ 50 კ., უყდოდ და უსურათოდ 1 მ. (10—3)

---

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

[illegible]

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულს საზოგადოებას ტფილისისას, რომ გამოჩენილი ფრანგული ოპერეტის არტისტი ქალი

# ანნა შიუდიკი

ჩამოვა ტფილისში თავის დასით, რომელშიაც 20 კაცი ითვლება, და გამართავს ათს წარმოდგენას. პირველი წარმოდგენა უნდა გაიმართოს 10 მარტს.

რ ე პ ე რ ტ უ ა რ ი:

1) La Roussotte; 2) ნინიში; 3) ნიტუში; 4) ლილი; 5) Divorçons (უნდა გავიყარნეთ); 6) სუსტი მხარე; 7) მენახშირენი; 8) ჰრიჰნა; 9) ქოზეფინა.

ამ ოპერეტებს გარდა წარმოადგენენ სამს ახალს ოპერას. ყოველ წარმოდგენაში ქ-ნი ქიუდიკი იმღერებს შანსონეტებსა და წაიკითხავს მონოლოგებს. ორკესტრში 22 კაცია.

23 თებერვლიდგან შეიძლება აბონემენტას აღება და ბილეთების ყიდვა, როგორც ათივე წარმოდგენისა ერთად, ისე თითოეულისა ცალკ-ცალკე.

დირექტორი პ ა რ ა დ ი ზ ი

ადმინისტრატორი ფ ო რ კ ა ტ ტ ი

(5—3)

---

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად.

Тифлисъ, Доз. цен. 6-го Марта 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.